

საპარტიო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 თბილისი, 3103, 1988 წ. № 199 (9866) • შპს 3 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



ამ დღეებში ფართოდ აღინიშნება პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავის იუბილე. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება საქართველოს სსრ-ში მოქმედებელი მეცნიერების სხვადასხვა დარგში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით.

14 ოქტომბერს კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საზეიმო ხალაში. სურათზე: თბილ-ს 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ხალაში. საქართველოს ფილარმონიის დირექტორი გ. შალაშვილი.

სსრ კავშირის ჩამოშორება კალათბურთში


მთურადბაელი დაბიუტანტი

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახელმწიფო 14 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — ახკ (ალმა-ათა) 98:92 (48:48). „დინამო“: ტიუნინი (26), რი-თოვი (21), კროპაჩოვი (18), ღარსა-ძე (17), შენგელია (8), ვაშაიძე (5), კოლიჩივი (3), ხანაძე, ბორდ-აჩივი.

გაძლიერდა, შემადგენლობაც სანა-ხევროდ განაახლა და ისევ დაბრუნ-და უკან, ოღონდ უკვე, როგორც მრისხანე მეტოქე, რომელიც, და-რწმუნებული ვართ, ბევრ გუნდს გაამწარებს, სისხლს გაუშრობს. გუშინწინ კინალამ პირველი სი-ურბრისის მოწმენი გავხდით. და ალბათ, არც იქნებოდა გასაკვირი ამ შეხვედრაში ალმა-ათელებს რომ გაემაჩვიათ. იმიტომ, რომ გუნდი აშკარად ძლიერია, ერთიანი ძალ-ის კალათბურთელებითა და კომპლ-ექტურული, შესანიშნავად იბრძვის ფარქვეშ, აქვს კარგი სროლები და, რაც მთავარია, ჰყავს ერთი გამო-კვეთილი ლიდერი საბჭოთა კავში-რის ნაკრების წევრის, სეულის ოლ-იმპიური ჩემპიონის ვალერი ტიხ-ონენკოს სახით.

რთივლებიც გარკვეული პრობლე-მების წინაშე დააყენეს. ამ პრობლ-ემების გადაწყვეტა სისწრაფოდ უნდა მომხდარიყო და კოლექტივმ-აც რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა. დინამოელთა შემადგენლ-ობა შეივსო ორი მეტ-ნაკლებად გამოცდილი კალათბურთელი (ვლად-იმერ რიჟოვი და მაქსიმ კროპაჩ-ოვი), გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგა-ზრდებიც (ირაკლი ვაშაიძე, კახა-ბერ შენგელია, გოდერძი კორძაძე), რომლებსაც უახლოეს მატჩებში მი-მე გამოცდა ელით. დებიუტი, რო-გორც ყოველთვის, ნერვიული და მღელვარე იყო. მერე და მერე სა-ქმე უფრო მოგვარდება, თამაშიც აეწყობა, თუმცა იოლ ცხოვრებას ჩვენი გუნდი ამ ჩემპიონატში არ უნდა ელოდეს.

ით აღინიშნა. ეს უპირატესობა, უპ-ირველეს ყოვლისა, ფარქვეშ ეფე-ქტური თამაში იყო მოპოვებული. საღაც მე-15 წუთისთვის „დინა-მომ“ აღადგინა წონასწორობა, მა-გრამ მცირე ხნით. შესვენებამდე დარჩენილ 2-3 წუთში არმეივები კვლავ დაწინაურდნენ და ტაიმი 5 ქულით მოიგეს. მეორე ნახევრის დასაწყისი კვლავ სტუმრების უპირატესობით წარიმა-რდა. თითქმის დაღვა კიდევ ერთ-ტიკული მომენტი, მაგრამ სწორედ ამ მომენტში ტიუნინმა რამდენიმე სამქულიანი სროლით ჯერ აღ-ადგინა წონასწორობა, მერე კი დაა-წინაურა კიდევ გუნდი. არმეივ კალათბურთელებს ძვი-რად დაუჯდათ ფარქვეშ მასირებ-ული ბრძოლა. ფილიპოვმა, მელუშ-ჩენკომ, კულაგინმა, ჟუკანკოვმა და ოგინიკოვმა 4-4 პერსონალური შე-ნიშვნა მიიღეს. ყოველი ახალი ჯა-რამა ახლა უკვე მოედინიდან გასვ-ლას ნიშნავდა...



ვიცინეგვიონმა სასტარტო მატჩები გამოტოვა

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი კარგად ჯერ არც და-წყებულია, მაგრამ ერთი შეხვედრა უკვე გადაიდო. კაუნასში დაგეგმი-ლი ორთაბრძოლა სსრ კავშირის ვი-ცინეგვიონს ადგილობრივ „ჟალგი-რისსა“ და მინსკის რტის შორის გაიმართება 1989 წლის 27-28 იან-ვარს. მიზეზი? ლიტველი კალათბუ-

რთელები ამჟამად ესპანეთში იმყო-ფებიან და იქ საერთაშორისო ტურ-ნირში ასპარეზობენ. ტალინი. სასტარტო მატჩი ად-გილობრივ „კალევსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის უადრესად მძა-ფრი და პრინციპული გამოდგა. პი-რველ ნახევარში ერთგვარ უპირა-

ტესობას მისპინძლები ფლობდნენ და ტაიმი 3 ქულით მოიგეს კიდევ — 40:37. შესვენების შემდეგ მდგო-მარობა გათანაბრდა და თამაშის-თვის განკუთვნილი დრო ფრედ — 83:83 დამთავრდა. დაინიშნა დამა-ტებითი ზუთფუთიანი პერიოდი, რო-მელშიც უფრო იღბლიანი სტუმ-რები აღმოჩნდნენ. „დინამომ“ გაიმა-რჯვა მინიმალური სხვაობით — 95:94.

სპორტსაგომალეობის კლენუმი

გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების II პლენუმი. პლენუმმა განიხილა სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანები და რეგულაციის სპორტულ მიღწევებში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წვლილის შემდგომი გაზრდის საკითხი მოხსენება გააკეთა საზოგადოების რეგულაციის სახეობის თავმჯდომარე ვ. შენგელიამ.

გუშინ...

თელავში უნდა გამართულიყო კადრები მსოფლიო პირველობის მატჩის მეათე ნაბიჯი შაია ჩიბურდანიძესა და ნანა იონელიანს შორის, მაგრამ იგი არ შედგა. თავისი მეორე ტაიმი-უტი აიღო პრეტენდენტმა.

ბრან-პრმ — „გაშაარჯოს მართულ ფეხბურთს“

იტალიის ქალაქ პალერმოში გამართული სპორტული ფილმების ტრადიციული მეათე ფესტივალის მთავარი პრიზი უნდა დაჯილდოვდა ალექსანდრე ქლენტის დოკუმენტური ნაწარმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“.

კრიტიკოსები ერთხმად აღინიშნავენ ქართველ კინომატორგაფისტთა მიერ მოძიებულ უნიკალურ საარქივო მასალას, რომელიც ამ პოპულარული თამაშის განვითარებაზე, აგრეთვე საქართველოს მდიდარ კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებზე მოგვითხრობს. მეორე პრემია მიენიჭა კუბელი სპორტული კინემატორგაფისტების ნამუშევარს „ერთი, ორი, სამი“.

„ჩელოკი“ — გულდია მასპინძელი

ტურიზმს სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი საერთო პრობლემა აქვს გადასაჭრელი, თუმცა სპეციფიკური განსხვავებაც ხშირად თვალში სა-ცემია. სასტუმრო „ივერიის“ საკონ-ფერენციო დარბაზში შეკრებილი ყურანალისტები და „ინტურისტის“ საქართველოს განყოფილების წარ-მომადგენლები დიდი ინტერესით უსმენდნენ ჩეხოსლოვაკიის ტურისტ-ტული ფირმის „ჩელოკის“ წარმო-მადგენლობის ბიუროს დირექტორის მარიე სელაჩკოვას საინტერესო სა-უბარს თავისი ფირმის საქმიანო-ბაზე. ამ ფირმის სულ მალე არსე-ბობის 70 წელი შეუსრულდება.

ბევრ ჩვენს თანამემამულეს, ცხა-ლია, უკვე ექნებოდა საშუალება ესარგებლა „ჩელოკის“ სამსახურით, მით უმეტეს ბოლო ხანს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის გზაზე გარკვეული ბარიერები მოიხსნა. რო-გორც ქალბატონმა მარიემ აღნიშ-ნა, სწორედ ეს ქვეყნის „ჩელოკის“ ერთ-ერთ ძნელ პრობლემად — იმატა ტურისტთა სტიქიურმა, ფა-ქტობრივად არარეგულირებულმა ნა-კადმა და ამის გამო დიდი სიძნელე ექმნებათ როგორც სტუმრებს, ისე მასპინძლებს. „ზაფხულში, როდესაც სასტუმროების სრული დატვირთვის დროს, თქვენი ქვეყნიდან ასე „მო-

უზღალებელი“ ტურისტები ჩამოდი-ან, ცხადია, ყოველთვის კირს სა-სტუმროში ადგილისა თუ სამგზა-რო ბილეთის შოვნა“ — თქვა დი-რექტორმა. ხოლო თვით „ჩელოკის“ მარ-შრუტები და მათი პროგრამა ბევრ საინტერესოს ჰპირდება ტურისტებს, ფირმას დანერგული აქვს ინდივიდუ-ალური და ოჯახური ტურიზმი, მათი 9 მარშრუტი საქართველოზე გადის. „თქვენი ბუნება, ღირსშესანიშნა-ობები და სტუმართმოყვარე ხალხი „ლუქს — კატეგორიას“ განეკუთ-ვნება, — ლიმილით თქვა მარიე სე-ლჩაკოვამ“ — ოღონდ სათანადო

ბაზებიც რომ გქონდეთ, ამას არა-ფერია აჯობებს“. თვითონ „ჩელოკი“ ამ პრობლემის გადასაჭრელად ხში-რად მიმართავს კერძო სექტორს, ბინებისა და აგარაკების დაქირავე-ბას, რაც ორმხრივ სარგებლობას ჰპირდება გამჭირავებულსაც და მოი-ჯარესაც. ალბათ ტურიზმის ეს მე-თოდი, ბაზების სიმცირის პირობებ-ში, ჩვენთანაც სარგებლობას მოი-ტანს, თუკი სათანადო ყურადღება დაეთმობა. „ჩელოკის“ 15 წევრი სპორტის მოყვარულების, უფრო ზუსტად კი საერთა-საბინილამურო სპორტის მი-მდევართათვის კომპლექტდება. ალ-ბათ მიხედით, იმ მარშრუტებზეა

ნოღარ გუგუშვილი.

გუშინ...

გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ალმა-ათის ახკ-ს გუნდების მეორე მატჩი. ანგარიში 105:94 (57:47) გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ლაპარაკი, რომლებიც მალა ტატ-რებში მიემართება. ფირმა თვითონ არის სპორტის სპონსორი, მაგალითად, იგი რეგუ-ლარულად აწყობს ჩოგბურთულთა დიდ საერთაშორისო ტურნირს — „პრატის დიდი პრიზის“ გათამაშე-ბას, რომელშიც ბევრი ცნობილი სპორტსმენი გამოდის. არცაა გასა-კვირი: პრიზი გამარჯვებულისთვის 150 ათას დოლარს აღწევს. „ჩელოკი“ მეურვეობს საქარაიკო ტურნირს და სხვა შეკრებებშიც (ეს ფაქტიც, ვფიქრობთ, ყურადსა-ღებე უნდა იყოს ჩვენი ანალოგიუ-რი ორგანიზაციებისთვის; ტურიზ-მი და სპორტი ხომ ფაქტობრივად საერთო საქმეს, ხილბის დასვენება-ვართობასა და ჯანმრთელობის გან-მტკიცებას ემსახურება).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 70 წლისაა



სამოცდათი წლის წინათ (1918 წელს) 26 იანვარს (ძველი სტილით) გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. ამ თარიღთან დაკავშირებით წლეულს თებერვალში „ლელო“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური გვერდი მიუძღვნა. ახლა, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში კვლავ ვუბრუნდებით თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის საინტერესო საკითხებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მის სპორტულ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

მანამდე შეხავდით სახით ვიტყვი, რომ თბილისის უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი მრავალმეცნიერულ სკოლას, რომლებმაც უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მთელ მსოფლიოში აღიარებული აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მათემატიკური სკოლა და აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური სკოლა. უდიდესი ავტორიტეტით ხარგებლობს ქართველ ფიზიკოსთა თუ ქიმიკოსთა, ისტორიკოსთა თუ ენათმეცნიერთა, გეოლოგთა და სხვა დარგების მეცნიერთა გამოკვლევები, რომლებიც თარგმნილია რუსულ და უცხოურ ენებზე, შესულია საბჭოთა კავშირის მიღწევათა ხაგანძურში.

ერთხანს თბილისის უნივერსიტეტი საქართველოში იწოდებოდა უმაღლესი განათლების საქმის, შემდეგ უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ბევრი ინსტიტუტი, მათ შორის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტური სპორტის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1947 წელს შექმნილმა სპორტკლუბმა, რომლის თავმჯდომარეობა თავად რექტორმა — ნიკო კეცხოველმა ითავა.

მელხონის ოლიმპიურ თამაშებში, როცა სპორტსმენთა ამ უდიდეს ფორუმში პირველად

გამოვიდნენ საბჭოთა ათლეტები, ჩვენი გუნდის წევრები 7 თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ. მას შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე მრავალმა აქაურმა სტუდენტმა წარმატებით დაიცვა საბჭოთა სპორტის პრესტიჟი.

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე თბილისის უნივერსიტეტის სამმა წარმომადგენელმა 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონები გახდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით გობეჯიშვილი (საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტი) და ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე (ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონლმცოდნეობის ფაკულტეტი). მესამე პრიზიორი გახდა წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე (იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი).

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან: გოგონათა შორის ევროპის პირველობის მეორე პრიზიორი, ბალმინტონისტი ინგა ბერიძე (ეკონომიკის ფაკულტეტი), სსრ კავშირის ჩემპიონი და თახის მფლობელი, აკრობატი ინგა გიორგობიანი (ისტორიის ფაკულტეტი), გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონი, კალათბურთელი მედეა მხეიძე (ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი), ნინოწოდნეული ცურვაში სსრ კავშირის ჩემპიონის მრავალჯერ პრიზიორი და საკავშირო თახის მფლობელი ნინო გელაშვილი და სხვები.

თბილისის უნივერსიტეტს განსაკუთრებით ძლიერი გუნდები ჰყავს კალათბურთში (ქალები და ვაჟები), წყალბურთში, მძლეობაში, ფარიკაობაში. ისინი სწორად რესპუბლიკურ პირველობებზე საპრიზო ადგილებს იკავებენ. სულ ახლახანს საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისის უნივერსიტეტის წყალბურთელი გუნდი.

უნივერსიტეტის დღის განყოფილებაზე 8600 სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტის 558 სტუდენტი აქტიური სპორტსმენია, ხოლო 5648 — ფიზკულტურელი. ბევრი მათგანი უნივერსიტეტში მოქმედი სპორტის 27 სახეობის სექციისა და გაერთიანებული.

ფიზკულტურის პირველი ფაკულტეტი



1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ფიზკულტურის ფაკულტეტი, რომლის პირველი დეკანი იყო პროფესორი გიორგი მღებრიშვილი. სტუდენტებს ლექციებს უკითხავდნენ ცნობი-

არჩილ ბაქრაძე, ლევ გოლოვნი, გიორგი რეხილაძე, გიორგი ბაბილოძე, გიგა მეუნარაძე, კოტე ზაუტაშვილი, სხვები და სხვები.

ფიზკულტურის ფაკულტეტს, დღიდან დაარსებისა დღი ამოცანები დაეკისრა, რომელთა შორის უმთავრესი გახლდათ კადრების მომზადება მშრომელთა ფართო მასების ფიზიკური აღზრდა-სრულყოფისთვის. დასამალი რაა, რესპუბლიკა იმხანად ფიზკულტურული კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, არა და რევოლუციამ ხალხს ფართოდ გაუღო სტადიონებისა და სპორტული დარბაზების კარი, მისცა მას გარჯიშისა და წვრთნის საშუალება...

სურათზე: თბილისის უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის კათედრის შემადგენლობა.

თუ უნივერსიტეტის მაღლი პენსია

თბილისის უნივერსიტეტი — საქართველოს მთავარი უმაღლესი სასწავლებელი და მეცნიერების უპირველესი კერა! თბილისის უნივერსიტეტი — ქართველი ხალხის ისტორია, მისი აწმყუა და მომავალი! თბილისის უნივერსიტეტის სახელთან დაკავშირებული ყველაფერი ძვირფასი და სანუგავარი, რაც ერს აქვს.

თბილისის უნივერსიტეტში აღიზარდა ბევრი სასახელო და გამოჩენილი მამულიშვილი. მათ ყველა გააყვანა ცხოვრებაში მშობლიური კედლების სიბრტე, დიდი და განუმეორებელი საყვარული.

უნივერსიტეტი, მისი საქმიანობით, მისი ყოველდღიური ცხოვრებით მუდამ საგანგებო მოწოდების გრძობას იწვევდა, იცოდა ზრუნვა თავის მრევლზე, მაგრამ სივითონაც ყურადღებასა და ერთგულუბას ითხოვდა.

...1952 წლის ზაფხულში უნივერსიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის სახელზე მოსკოვიდან რამდენიმე დეკანმა მოვიდა. უკვე დაწყებული იყო კალათბურთელთა ოლიმპიური გუნდის შეკრება და მწვრთნელებიც მოიკრიბა. ქორაქიას სასწრაფო ჩამოსვლას მოითხოვდნენ. ამ დროს უნივერსიტეტში კი... სტუდენტთა სპორტკლუბის მიმდინარეობდა და ნო-

დარი თანაქურსელებთან ერთად იურიდიული ფაკულტეტის ღირსებას იცავდა... ოლიმპურ კალათბურთელთა შეკრება და მათგანებული იყო და ახლა ფრენბურთელთა ტურნირში გამოდიოდა. იგი, რა თქმა უნდა, გაემგზავრა შეკრებაზე, ოლიმპის შედეგად, როცა დაამთავრა შეკრებები და თავის გუნდს პირველი ადგილი ააღებინა. ქორაქიასთვის, როგორც კე მმარტი უნივერსიტეტის ისტორიის, ოლიმპიურ თამაშებზე არანაკლები მნიშვნელობა საუნივერსიტეტო ტურნირს ჰქონდა.

რამდენიმე დღის წინ სეულიდან გამარჯვებული და ოქროს მედალით მკურდამშვენებული დავითბრუნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ ერთი სტუდენტი, მოქიდავე დავით გობეჯიშვილი.

დავით, თქვენ ალბათ იცით, რომ სულ მალე უნივერსიტეტი თავის საიუბილეო თარიღს იხეიმებს?

— ვიცი და ბედნიერი ვარ კიდევ იმით, რომ ჩემი გამარჯვება ამ დიდ იუბილეს დაემთხვა.

თუ არ ვცდებით, თქვენ ეკონომიკური ცოდნის იძენთ?

— დიან, ვსწავლობ საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტის მეცხუთე კურსზე. მინდა ამ დარგის სპეციალისტი გახდეთ.

რა როლს ასრულებს უნივერსიტეტი თქვენს ცხოვრებაში?

— ვამაყობ, რომ ამ სახელოვანი სასწავლებლის სტუდენტი ვარ. უნივერსიტეტის სტუდენტის სახელი ადამიანს ბევრ რამეს ავალდებს. ცდილობ პირველი ვიყო სპორტში და არც თუ უკანასკნელი სწავლაში.

ალბათ იცით, რომ უნივერსიტეტი დიდი სპორტული ტრადიციები აქვს და ამ ტრადიციებს გაფრთხილება, თვალის ჩინივით მოვლა სჭირდება.

— ტრადიციის ძალა სხვათა შორის, დღესაც იგრძნობა. ოლიმპიურ თამაშებზე ჩემს გარდა კიდევ იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები და თავი არავის შეურცნევინა.

რას უსურვებდით მშობლიურ სასწავლებელს?

— სპორტული წარმატებების უსასრულოდ გამრავლებას. თბილისის უნივერსიტეტი ამ მხრივაც თითოთ საჩვენებელი უმაღლესი სასწავლებელი უნდა იყოს.

სპარტაკიადის ტრადიცია

საუნივერსიტეტო სპორტის წინსვლას ერთგვარი ბიძგი შესანიშნავი ქართველი მამულიშვილის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს მიეცა. მაშინ ამოქმედდა კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, კიდაობის სხვადასხვა სახის, ჩოგბურთის, ძალოსნობის, ცურვის, მთამსვლელობის, მძლეობის, ფარიკაობის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა სექციები. სწორედ იმ ხანად, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩაეყარა საფუძველი უნივერსიტეტის სპორტკლუბის, რომელიც ტრადიციულად დღესაც გამოირჩევა მაღალი სპორტული მაჩვენებლებითა და მასობრიობით.

ამ ასპარეზობაში გამოსვლას ყველა დიდ პატივად მიიჩნევდა. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იმ პირველი სპარტაკიადის გამარჯვებული და მონაწილეთა შორის სტუდენტთა გვერდით მათს ამზრდელ პროფესორ-მასწავლებლებსაც შეხვდებით. ბევრი მამინდელი სტუდენტი კი დღეს უკვე მეცნიერების დიდ სიმაღლეებს არის შეუიღებელი და მსოფლიოში სახელმწიფო სწავლულის სახელი აქვს დამკვიდრებული.

პირველი სპარტაკიადის მოკრევითა ტურნირის მონაწილენი იყვნენ დღეს უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი სარგის ცაიშვილი, რომელმაც საშუალო წონაში მოიპოვა ჩემპიონობა, უნივერსიტეტის პროფესორი ითარ ბაქანიძე, საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი თამაზ გამყრელიძე, ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესორი ლევან ალექსიძე. განსაკუთრებით უნდა მოვხსენიოთ პროფესორი კოტე ბაქრაძე. ბატონი კოტეს მეორე ვაჟიცაბა ვახლათ ფრენბურთი, რაც იგი თავისი ნიჭიერი მოწაფის კოტე ლომინაძის წყალობით ეზიარა. პროფესორის ოჯახში დიდ პატივში იყო სპორტი. მისი ქალიშვილი, რომელიც ბავშვობიდან მისდევდა ჩოგბურთს, თავიდან გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, გეოლოგიის სპეციალობა კი, მოგვისხენებთ, კლდესა და ღრესთან არის დაკავშირებული, სადაც ჩოგბურთის კორტის არსებობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამიტომ მზია ბაქრაძემ, რომელიც ახლა თბილისის ი. კავკავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენის კათედრის დოცენტი გახლავთ, ჩოგბურთის შესწავლა გეოლოგია და შეიცვალა პროფესია.

იმ სპარტაკიადის ფრენბურთელთა ტურნირის მონაწილენი იყვნენ ცნობილი ლექტორები შოთა გაბეული, ვენორ ქვანახია. სხვათა შორის, სწორედ ფილანტინის ფაკულტეტის წარმომადგენლები ტოლსარ უცედენო, მეტეკეძე, სპორტის უმრავლესი სპორტსმენი კეჩიკეძე, მათ პირველობა არავის დაუთმეს კრივის, ფეხბურთში. ფეხბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ აგრეთვე მომავალი პროფესორები ზურაბ კაკაბაძე, ვენორ ქვანახია, ჩვენი კოლეგა — ქურთალისტი ნოდარ გუგუშვილი, მათ მეტოქეთა შორის იყო ისტორიკოსი კარლო მეშველიანი.

ბევრი კი ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირი დაამასოვრდა ერთი კონფლიქტური სიტუაციით, რომელიც იქვე, სარბიელზე შეიქმნა. ფიზიკა-მათემატიკისა და იურიდიული ფაკულტეტების ფინალურ შეხვედრაში, რომ იტყვიან, სამეცნიერო-საიცილო ბრძოლა გაჩაღდა, რასაც ტონს აძლევდა ცნობილი კალათბურთელი, იმხანად უკვე ევროპის ჩემპიონი და საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრი ნოდარ ჭორჯიკია, დიან, ნოდარ ჭორჯიკია თავის ძირითად სახეობასთან ერთად ფრენბურთშიც იცავდა ფაკულტეტის ღირსებას. ნოდარის მხარდამხარ კი ფრენბურთის ბაღისთან იბრძოდა მისი ლექტორი ლევან ალექსიძე, რომელიც სტუდენტებს საერთაშორისო სამართალს უკითხავდა. მობდა ისე, რომ ალექსიძის უყურადღებობის გამო მომავალმა იურისტებმა ზედმედ დაკარგეს ქოლა. ამან გუნდის კაპიტანის ნოდარ ჭორჯიკიას გულსწყრომა გამოიწვია და მან დაუყოვნებლივ „შეახურა“ თავისი უნივერსიტეტის ეტაობა, კაპიტანს ზედმეტი მოუვიდა და ლევან ალექსიძემ თითის დაწვევით შეახსენა: — ნუ გაიფიქრებ, რომ ჩემი საგანი გაქვს ჩასაბრუნებელი და მოხვალ ჩემთან.

ლექტორის შეუპარას მოედნის ირგვლივ შეკრებილთა სიცილი მოხედა. ამ სპარტაკიადის მაღლი იმავიცი მდგომარეობა, რომ მან არაერთ ახალბედს დიდი სპორტისაკენ დაულოცა გზა. მათ შორის იყვნენ ჩვენი სასიქადლო სპორტსმენები ვახტანგ ბალაყაძე, სიმონ მაისურაძე, ჯუმბერ მემმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, გურამ თიქანიძე, ნუნუ ჭებანიძე, ცილა ქლენტი, ირინე გაბაშვილი, დევი ცილა და ქვიკო ფექიალაძეები, გივი რუხაძე, ვახტანგ ანანიაშვილი, რევაზ ტრაპაძე და ბევრი სხვა, რომლებიც წარმატებით იცავდნენ მშობლიურ უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

საუნივერსიტეტო სპორტის წინსვლას ერთგვარი ბიძგი შესანიშნავი ქართველი მამულიშვილის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს მიეცა. მაშინ ამოქმედდა კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, კიდაობის სხვადასხვა სახის, ჩოგბურთის, ძალოსნობის, ცურვის, მთამსვლელობის, მძლეობის, ფარიკაობის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა სექციები. სწორედ იმ ხანად, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩაეყარა საფუძველი უნივერსიტეტის სპორტკლუბის, რომელიც ტრადიციულად დღესაც გამოირჩევა მაღალი სპორტული მაჩვენებლებითა და მასობრიობით.

ამ ასპარეზობაში გამოსვლას ყველა დიდ პატივად მიიჩნევდა. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იმ პირველი სპარტაკიადის გამარჯვებული და მონაწილეთა შორის სტუდენტთა გვერდით მათს ამზრდელ პროფესორ-მასწავლებლებსაც შეხვდებით. ბევრი მამინდელი სტუდენტი კი დღეს უკვე მეცნიერების დიდ სიმაღლეებს არის შეუიღებელი და მსოფლიოში სახელმწიფო სწავლულის სახელი აქვს დამკვიდრებული.

პირველი სპარტაკიადის მოკრევითა ტურნირის მონაწილენი იყვნენ დღეს უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი სარგის ცაიშვილი, რომელმაც საშუალო წონაში მოიპოვა ჩემპიონობა, უნივერსიტეტის პროფესორი ითარ ბაქანიძე, საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი თამაზ გამყრელიძე, ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესორი ლევან ალექსიძე. განსაკუთრებით უნდა მოვხსენიოთ პროფესორი კოტე ბაქრაძე. ბატონი კოტეს მეორე ვაჟიცაბა ვახლათ ფრენბურთი, რაც იგი თავისი ნიჭიერი მოწაფის კოტე ლომინაძის წყალობით ეზიარა. პროფესორის ოჯახში დიდ პატივში იყო სპორტი. მისი ქალიშვილი, რომელიც ბავშვობიდან მისდევდა ჩოგბურთს, თავიდან გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, გეოლოგიის სპეციალობა კი, მოგვისხენებთ, კლდესა და ღრესთან არის დაკავშირებული, სადაც ჩოგბურთის კორტის არსებობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამიტომ მზია ბაქრაძემ, რომელიც ახლა თბილისის ი. კავკავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენის კათედრის დოცენტი გახლავთ, ჩოგბურთის შესწავლა გეოლოგია და შეიცვალა პროფესია.

იმ სპარტაკიადის ფრენბურთელთა ტურნირის მონაწილენი იყვნენ ცნობილი ლექტორები შოთა გაბეული, ვენორ ქვანახია. სხვათა შორის, სწორედ ფილანტინის ფაკულტეტის წარმომადგენლები ტოლსარ უცედენო, მეტეკეძე, სპორტის უმრავლესი სპორტსმენი კეჩიკეძე, მათ პირველობა არავის დაუთმეს კრივის, ფეხბურთში. ფეხბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ აგრეთვე მომავალი პროფესორები ზურაბ კაკაბაძე, ვენორ ქვანახია, ჩვენი კოლეგა — ქურთალისტი ნოდარ გუგუშვილი, მათ მეტოქეთა შორის იყო ისტორიკოსი კარლო მეშველიანი.

ბევრი კი ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირი დაამასოვრდა ერთი კონფლიქტური სიტუაციით, რომელიც იქვე, სარბიელზე შეიქმნა. ფიზიკა-მათემატიკისა და იურიდიული ფაკულტეტების ფინალურ შეხვედრაში, რომ იტყვიან, სამეცნიერო-საიცილო ბრძოლა გაჩაღდა, რასაც ტონს აძლევდა ცნობილი კალათბურთელი, იმხანად უკვე ევროპის ჩემპიონი და საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრი ნოდარ ჭორჯიკია, დიან, ნოდარ ჭორჯიკია თავის ძირითად სახეობასთან ერთად ფრენბურთშიც იცავდა ფაკულტეტის ღირსებას. ნოდარის მხარდამხარ კი ფრენბურთის ბაღისთან იბრძოდა მისი ლექტორი ლევან ალექსიძე, რომელიც სტუდენტებს საერთაშორისო სამართალს უკითხავდა. მობდა ისე, რომ ალექსიძის უყურადღებობის გამო მომავალმა იურისტებმა ზედმედ დაკარგეს ქოლა. ამან გუნდის კაპიტანის ნოდარ ჭორჯიკიას გულსწყრომა გამოიწვია და მან დაუყოვნებლივ „შეახურა“ თავისი უნივერსიტეტის ეტაობა, კაპიტანს ზედმეტი მოუვიდა და ლევან ალექსიძემ თითის დაწვევით შეახსენა: — ნუ გაიფიქრებ, რომ ჩემი საგანი გაქვს ჩასაბრუნებელი და მოხვალ ჩემთან.

ლექტორის შეუპარას მოედნის ირგვლივ შეკრებილთა სიცილი მოხედა. ამ სპარტაკიადის მაღლი იმავიცი მდგომარეობა, რომ მან არაერთ ახალბედს დიდი სპორტისაკენ დაულოცა გზა. მათ შორის იყვნენ ჩვენი სასიქადლო სპორტსმენები ვახტანგ ბალაყაძე, სიმონ მაისურაძე, ჯუმბერ მემმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, გურამ თიქანიძე, ნუნუ ჭებანიძე, ცილა ქლენტი, ირინე გაბაშვილი, დევი ცილა და ქვიკო ფექიალაძეები, გივი რუხაძე, ვახტანგ ანანიაშვილი, რევაზ ტრაპაძე და ბევრი სხვა, რომლებიც წარმატებით იცავდნენ მშობლიურ უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

სურათი ვიზინაჟი.

მეხს აუყოფდა საბავსოვ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავს ვხეივობთ. ვიხეივებთ საბჭოთა ალბინიზმის 65 წლისთავიც და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის გიორგი ნიკოლაძის დაბადებიდან 100 წლისთავიც აღვნიშნეთ.

თბილისის უნივერსიტეტის საბჭოთა ალბინიზმის საიუბილეო და გიორგი ნიკოლაძის დაბადების თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. მომავალშიც ასე იქნება. როცა საბჭოთა ალბინიზმის საიუბილეო თარიღები კვლავ აიბინიშნება, უთუოდ თბილისის უნივერსიტეტსაც გაიხსენებენ გიორგი ნიკოლაძის სახელსაც და პირიქით...

რატომაც არა, საბჭოთა ალბინიზმს სათავე ხომ სწორედ თბილისის უნივერსიტეტებმა დაუდეს. მაშინ, 1923 წელს, ეს უმაღლესი სასწავლებელი მხოლოდ 5 წლის ისტორიას რომ ითვლიდა, სტუდენტთა 18-კაციანი რაზმი გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით მყინვარწყვრზე ავიდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1918 წელს პედაგოგთა, სტუდენტთა და სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ წევრთა წინაშე გიორგი ნიკოლაძე გამოვიდა და მსმენელთა ალბების მწვერვალ ტეტ დე ქეანზე ლაშქრობის შესახებ უამბო.

ერთგვარი უნებრულობას ვგრძნობ იმის გამო, რომ ჩემს მშობლიურ საქართველოში არც ერთი მწვერვალი არ დამიპყრია. აუცილებლად უნდა შევისწავლო ჩვენი მშობლიური ქუთხის მდიდარი ბუნება — ლაქვარდოვანი ზღვიდან დათოვლილ წვერვალეებამდე. სამისო კი დიდებულ ახალგაზრდას გვყავს, — უთქვამს მაშინ გიორგი ნიკოლაძეს. უთქვამს და მიზნის მისაღწევად იღვწოდა.

მანც, თბილისის უნივერსიტეტებმა როგორ ჩაუყარეს საფუძველი საბჭოთა ალბინიზმის ისტორიას? იმ ასვლას თავად გიორგი ნიკოლაძე ასე აღწერს:


...ეს მწვერვალია. მოწინავეებმა საფეხურების ქრას თავი დაანებეს და პირდაპირ ზევით აირბინეს... მამ მიზანი მიღწეულია... აღსრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინებულად დაგვირგვინდა! ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

როგორ აღეწვით ადამიანის სულ-ეგერი მდგომარეობა მშვენიერად მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიყვანს, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერისა და სიამაყის გრძობა მთელ არსებას იტაცებს. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე თვრამეტნი ვართ... ასეთ ცუდ დარში, როგორშიც ჩვენ ავიდეთ, 18 კაცი არა, ჭერ ერთი არ ასულა... ჩვენი ასვლის დროს კი 20 მენაკამდე (გრადუსამდე) იყო ყინვა. და, ამასთან, საშინელი ქარიც... უმთავრესი საამაყეს ჩვენი დევი წარმოადგენდნენ. ამდენი ქალი ჭერი იქ არასოდეს არ ასულა. ჩვენები ხუთნი არიან...

მას შემდეგ თბილისის უნივერსიტეტს საქართველოში მთამსვლელთა უპირველესი სამეცნიერო რეპუტაცია დღემდე არ დაუკარგავს. აქ აღიზარდა მთამსვლელთა მთელი თაობები, რომლებმაც საბჭოთა ალბინიზმის ისტორიაში მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს.

თბილისის უნივერსიტეტს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა სპორტში, ალბინიზმიც ეყოფოდა საამაყოდ.


ოლიმპიური ხაზგაშლილი თამაშები გააქვება



სეული. 17 სექტემბერი —
2 ოქტომბერი, 1988 წ.

სეული ოლიმპიური მედლების 237 კომპლექტი გათამაშდა სპორტის 23 სახეობაში. ბ. ხაინის წიგნში „ყველაფერი ოლიმპიური თამაშების შესახებ“ (მოსკოვი, გამოცემულია „ფიზკულტურა ი სპორტ“, 1979 წ.) ვკითხულობთ, რომ ოლიმპიადებში გამარჯვებულებს აჯილდოებენ ოქროს მედალით, რომელიც დამზადებულია ვერცხლისაგან, მაგრამ დაფარულია არანაკლებ 6 გრამი სუფთა ოქროთი, მეორე პრიზორს გადაეცემა ვერცხლის მედალი, მესამეს — ბრინჯაოსი. განსაზღვრულია მედლების ზომაც — დიამეტრი არაუმეტეს 60 მმ-ისა, სისქე კი — არაუმეტეს 3 მმ-ისა.

სეულის ოლიმპიადის ოქროს მედალის დიამეტრი 33 მმ იყო, წონა... 31,1 გრამი, მედალი შეიკადა 99,9 პროცენტ ოქროს, ესე იგი მთლიანად ამ ძვირფასი ლითონისაგან იყო დამზადებული. ვერცხლის მედალის წონა შეადგენდა 70 გრამს (50 მმ., 59,9 პროცენტ ვერცხლი), ბრინჯაოს მედალისა — 110 გრამს (60 მმ). სულ სეულში გაიყა 241 ოქროს, 234 ვერცხლისა და 264 ბრინჯაოს მედალი.



სეულის სპორტული ბაზები მორთული იყო ასეთი სიმბოლიკით.

ერთი სიტყვით, XXIV ოლიმპიადზე მედლებად დანაწილდა დაახლოებით 7,5 კგ ოქრო, 17 კგ ვერცხლი, ბრინჯაოს მედლების დასამზადებლად კი დიდიხარჯი 300 კგ-მდე ლითონი. (მედლების ნიმუშები მოცემულია ამ წერილის სათაურთან).

პირველი ოქროს მედალი საბჭოთა გუნდს, როგორც ცნობილია, ტყვიის სროლაში გროდნოვსკი ირინა შილოვას მოუპოვა და სათვალავი გასწავლა. წინასწარი გაანგარიშებით, საბჭოთა ოლიმპიადეებს დაახლოებით 50 ოქროს მედალი უნდა მოეპოვებინათ — სწორედ ამდენი უმაღლესი ჯილდო იქნებოდა საკმარისი ოლიმპიადეში გამარჯვებისათვის. ასახელებდნენ კონკრეტულ ციფრსაც (48), მაგრამ პროგნოზის რეალობაში გადააჭარბა — საბჭოთა სპორტსმენები შინ 55 ოქროს მედალი დაბრუნდნენ.

...მთავარი პრესცენტრი ინგლი-

სურ და ფრანგულ ენებზე გამოცემული ლიტერატურა ლიტერატურით იყო მომარაგებული. მათ შორის ნახავდით კრებულებს, რომლებიც ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების სპორტსმენთა შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვთავაზობდნენ. თუმცა, მერე და მერე, როცა უმაღლესი ჯილდოები განაწილდა, გაირკვა, რომ ზოგიერთი ჩემპიონის გვარს შემთავაზებულ კრებულებში უზრუნველყოფა ამოღებდნენ. საქმე ისაა, რომ ბევრმა სპორტსმენმა ზედ ოლიმპიადის წინ მოიპოვა სეულის თამაშების საფურცელი.

მოხდა ისე, რომ საცნობარო გამოცემაში შესული არ იყო ცნობები ოლიმპიადის სწორედ პირველი ლაურეატის შესახებ. არადა, XXIV თამაშების პირველი ჩემპიონის — ირინა შილოვას პიროვნებით, ცხადია, უკლებლივ ყველა ყურნალისტი დაინტერესდა. ირინა იყო სულ ბოლოს ჩარიცხეს ქვეყნის ნაკრებში და ამიტომ საბჭოთა სპორტსმენების შესახებ უფრო ადრე გამოცემულ ცნობარში მასზე არაფერი იყო ნათქვამი. სამაგიეროდ, პრესცენტრის საინფორმაციო სამსახურმა ყველაფერი იცოდა, დისპლეის ეკრანზე უმაღლესი მიღებდით თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ ცნობას. პრესცენტრში — როგორც მთავარში, ისე სუბპრესცენტრებში — ყურნალისტებს დახმარებას უწევდნენ კორეელი მოსწავლეები. გნებავთ გაიგოთ, ესა თუ ის ქვეყანა სპორტის რამდენ სახეობაში გამოდის, ვინ იცავს ნაკრების ლირსებას, როგორია თითოეული მონაწილის აღრინდელი ან ახლანდელი სპორტული მიღწევები, ასაკი, სიმაღლე, წონა, საქმიანობა?... ამისთვის საკმარისია მოძებნოთ შესაბამისი ქვეყნის კოდი და შემდეგ მოდის და მოდის ინფორმაციის ნაკადი ტელეეკრანზე. თუ გსურთ, რომ ის, რაც ეკრანზე აღიბეჭდა, ტექსტად მიიღოთ, დაჭირეთ ხელი შესაბამის ლილაკს და ტექსტიც მზადაა... სეულის ოლიმპიადამ არა მარტო სპორტის, ინფორმაციის პროგრესიც წარმოაჩინა.

პრესცენტრში სტუმრებს თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ თარჯიმნებიც, აქტივისტები აკონტროლებდნენ აგრეთვე ტრანსპორტის მუშაობას, პრესცენტრებში და სპორტული ბაზების ტერიტორიაზე საგანგებოდ გამოყოფილი ახალგაზრდები კი მზად იყვნენ ნებისმიერი დახმარებისთვის, დაუზარებლად მიგაცილებდნენ თუნდაც ტერიტორიულად ყველაზე შორს მდებარე სპორტულ ბაზებამდე.

სეულიდან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ხელში ჩამივარდა 22 სექტემბრის „სპორტინია მოსკოვ“. გაზეთის პირველ გვერდზე ყურადღება მიიბყრო ოლიმპიადის ლაურეატების სიაში. პირველ კვირაში თამაშებზე საბჭოთა სპორტულ დელეგაციას მოპოვებული ჰქონდა თერთმეტი ოქროს მედალი და აქედან ორი, ქართველი სპორტსმენების — ნინო სალუქვაძისა და ვლადიმერ გოგოლაძის წილად მოდიოდა. ოქროს მედალის მფლობელი იმავით თანმიმდევრობით იყვნენ ჩამთვლილნი, როგორი თანმიმდევრობითაც ოლიმპიადეზე ავიდნენ. აქ რიგით მეორე ვახლად ნინო სალუქვაძე — ოლიმპიური ჩემპიონი მცირეკალიბრის პისტოლეტის სროლაში. სია, ცხადია, ოლიმპიადის პირველი ჩემპიონის ირინა შილოვას გვართ იწყებოდა. საქართველოდან თამაშებზე ჩასული სპორტული ხელმძღვანელები ნინოს გამოსვლის წინა დღეს სასტუმროში დაუკავშირდნენ ვახტანგ სალუქვაძეს, ჰკითხეს, შეიძლება


თუ არა მისულიყვნენ ნინოსთან შეჯიბრების დაწყებამდე. ვახტანგმა, როგორც წარსულში ცნობილმა მსროლელმა და ამჟამად ნინოს მწვრთნელმა, ცხადია, კარგად იცის ყველა ნიუანსი, ასევე ჩინებულია იცნობს შეილის ფსიქოლოგიას. მან თქვა, რომ აჯობებდა ჩვენები ნინოს არ შეხვედროდნენ. შემდეგ ნინო იტყვის: „შეჯიბრებაზე გასვლის წინ არაფერზე არ ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ ჩემს პირდაპირ სამიზნეა და უნდა ვისროლო ისე,



ოსტატი და შეგირდი — მამა და შვილი, ვახტანგ და ნინო სალუქვაძეები სეულში.

როგორც ჩვეულებრივ ვისვრი, არც ასპარეზობის მასშტაბებში და არც გამარჯვების მნიშვნელობაში ფიქრი და ყურადღება არ უნდა მომტაცოს“.

რაღა თქმა უნდა, ნინოს რომ სცოდნოდა, ტრიბუნებიდან თანამემამულეებიც მადგენდნენ თვალსო, ამას შესაძლოა ემოქმედა მის საბრძოლო განწყობაზე. თუმცა არის სხვა ნიუანსიც. მსროლელები მაყურებლებს და გულშემატკივრებს არ არიან შეჩვეულნი. ესეც გასათვალისწინებელი იყო. ჩვენებს არც მამამ „შეუშლიათ ხელი“ ნინოსთვის, როცა ის მეორედ ჩაება ოლიმპიური ჯილდოსთვის ბრძოლაში. უჩუბრად ისეც ტრიბუნებიდან ვადევნებდით თვალყურს მის ასპარეზობას.



ოლიმპიადის მთავარ პრესცენტრში. ინფორმაციის კუთხე.

ლაფერს დაწვრილებით ვისხენებ: ნინო სასროლეთიდან ეზოში გამოვიდა. აქვე შეეგებნენ მის ჩვენი სპორტის მუშაკები, მათ შორის მამამისიც. ყველა მიულოცა მეორე წარმატება — ვერცხლის მედალის მოპოვება, ის კი... ტყვიის სროლაში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი, უცრად აქვითინდა, მიბრუნდა და მამას მკერდში ჩაეკრა. მტკიცე ნებისყოფის ქალიშვილია, რომელიც წარბსაც არ შეხრის დაძაბული ასპარეზობისას, ახლა თავი ვეღარ შეიკავა, რადგან სჯეროდა, რომ შეეძლო მეორე ოქროს ჯილდოც მოეპოვებინა (აქვე ვიტყვი, რომ ოლიმპიადის მონაწილე 108 ქვეყანა საერთოდ უმედლოდ დარჩა). მერე ნინოს, ცრემლების ამბავი სეულში საბჭოთა უზრუნველყოფის ვლადიმერ და „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ (ეს ყოველკვირეული გაზეთი ხუთ ენაზე გამოდის და მსოფლიოს 140 ქვეყანაში ვრცელდება) სპეციალურმა კორესპონდენტმა მარკ ვოლოვოვმა ამის შესახებ 9 ოქტომბრის ნომერში მოუთხრო კიდევ მკითხველებს.

სხვა რამდენიმე სიტყვა თვით სეულის ოლიმპიური სასროლეთზე. ოფიციალურად მას ტენისის სასროლეთი ჰქვია. ფაქტობრივად ესაა როგორც სპორტის, ისე მასობრივი გართობისა და დასვენების შესანიშნავი კერა. განა მხოლოდ სროლის უარესად თანამედროვე და კეთილმოწყობილი ბაზებით იტყვის ეს ადგილი უარაღებებს, აქ ნახავთ შესანიშნავ კორტებს, არის საცალო აუზი, სხვა სპორტული ბაზები, გართობა-დასვენების ობიექტები, რესტორანი, კაფე და ა. შ. სასროლეთი მთის ძირში, ულამაზეს

აქ სიტყვას აღარ ვაგვირდელით. იმას კი ვიტყვი, რომ ტყვიის სროლაში ირინა შილოვას გამარჯვების შემდეგ ნინო სალუქვაძის წარმატებას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. მთელ საბჭოთა სპორტული დელეგაციისთვის, რომელიც ის-ის-ყა-წყებდა უდიდესი მწვერვალის მწველ და უარესად საპასუხისმგებლო მტურმს. იმავით საღამოს სსრ კავშირის სპორტსაკომის თავმჯდომარემ, სეულში საბჭოთა სპორტული დელეგა-



ოლიმპიადის თილისმა ხოდორი.

ციის ხელმძღვანელმა მარატ გრამოვმა საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში ტრადიციული სახეიშო თავშეყრა გამოაცხადა. ოფიციალურ ცერემონიაზე საგანგებოდ მიიწვიეს საქართველოს სპორტსაკომის თავმჯდომარე ნუგზარ უნდელიძე. ახალ ოლიმპიურ ჩემპიონს ნინო სალუქვაძეს ასეთ ვითარებაში მიულოცეს უმაღლესი სპორტული წარმატება და იქვე გადასცეს სპორტის დამსახურებული ოსტატის მოწმობა.

მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ნინოს წინ კიდევ ერთი ოლიმპიური გამოცდა ელოდა — ამჟერად პენემატური პისტოლეტის სროლაში უნდა დაეცვა საბჭოთა ნაკრების ღირსება. ნინო უკვე ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ჩაება ახალ პეიქობაში. გასაკვირი არ არის, რომ იგი იმ დღეს ყურადღების ცენტრში იყო. ნინო ცდილობდა კვლავ დინჯად, „გარესამყაროსგან მოწყვეტილ“ ველო მიზნისკენ და აი, ახალი სინარული — წინასწარ შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენმა 390 ქულა მოაგროვა, ეს კი მსოფლიოს ახალი რეკორდი იყო. მერე კი, მერე... ერთ-ერთ ინტერვიუში ნინომ თქვა: „ჩვეულების წინააღმდეგ, ჩემი მთავარი მეტოქის, იუგოსლავიელი ისინა სეკარიჩის შედეგით დავინტერესდები. გავგეგმ, ერთი ქულით ჩამომარჩებოდა და დაძაბული ბრძოლისთვის მოვემზადე. არ შეიძლება ფინალში ბრძოლისთვის ემზად, უნდა ისროლო შენი შედეგის მისაღწევად და მორჩი... ამიტომ ფინალში ძალზე ველავადი და ტყვიარამდენჯერმე ასცადა ათიანს“.

ეს ასპარეზობაც დამთავრდა. შეჯიბრების ორგანიზატორები ნინოს ამჟერად ვერცხლის მედალს გადასცემენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს კი სეკარიჩი დაიკავებს.

მეზობან დაჯილდოების ცერემონიას კარგა ხანს ველოდით. თანამედროვე ზუთვიდელუბა აგრძელებდნენ სროლაში შეჯიბრებას და მთელი გულისყური იქით იყო გადართობილი. დაჯილდოების ცერემონიალის ჩატარება არ შეიძებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ორკესტრი ხელს შეუშლიდა მოასპარეზებებს. ჩვენც ყველანი სულგანაბრული ვადევნებდით თვალყურს ვახტანგ იაგორაშვილის გამოსვლას. დამთავრეს შეჯიბრება ზუთვიდელუბა და ვეებერთელა ეზოში აყლერდა ორკესტრი, მოპირდაპირე შენობიდან გამოვიდა პენემატური პისტოლეტის სროლაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა „შესანიშნავი სამეული“.

შენობის კიბიდან ოლიმპიურ კვარცხლბეკამდე რამდენიმე ათეულ მეტრ გზაზე ნონია გაფენილი, რომელზეც სპორტსმენები სახეიშო მარშის თანხლებით მოაბიჯებენ. ნინო ამჟერად კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ადის...

თენგიზ ბაკაიძე,
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.
სეული — თბილისი.
(გაგრძელება იქნება)

